

შპს „პონტო ლაქი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2021 წლის 31
დეკემბერს

შპს „პონტო ლაქი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 3

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ----- 4

ფინანსური ანგარიშგების განამრტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ----- 5

2. მომზადების საფუძვლები ----- 5

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა ----- 8

4. ამონაგები ----- 9

5. წმინდა შემოსულობა ----- 9

6. ფინანსური დანახარჯი ----- 9

7. საბიუჯეტო გადასახადები ----- 9

8. სავაჭრო და სხვა მოხონებები ----- 9

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ----- 10

10. ძირითადი საშუალებები ----- 10

11. არამატერიალური აქტივები ----- 11

12. ბანკის ოვერდრაფტი და სესხი ----- 11

13. სავაჭრო ვალდებულებები ----- 11

14. იჯარა ----- 11

15. საკუთარი კაპიტალი ----- 12

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ----- 12

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება ----- 12

შპს პონტო ლაქი

საიდენტიფიკაციო კოდი: 204999724

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2021	31/12/2020
ნეტო ამონაგები	4	2453256	1931079
საქონლის გაყიდვიდან		2431311	1913409
მომსახურების გაწევიდან		21945	17670
გაყიდვების თვითღირებულება		-1545751	-1203360
საერთო მოგება		907505	727719
სხვა საოპერაციო შემოსავალი		115202	0
დასაქმებულთა ანაზღაურება		-417357	-345457
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		-23194	-17069
საპროცენტო ხარჯი	6	-9859	-8496
იჯარის ხარჯი	14	-108119	-75628
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-43920	-45452
სულ საოპერაციო ხარჯები		-487247	-492102
საოპერაციო მოგება		420258	235617
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	5	-5286	-2801
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	5	-4344	-133016
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		410628	99800
მოგების გადასახადის ხარჯი		0	-32840
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		410628	66960
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		410628	66960
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		62018	180850
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-268429	-185792
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-1067	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		203150	62018

დირექტორი: დავით დავითაძე

ხელმოწერა:

შპს პონტო ლაქი (204999724)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2021	31/12/2020	31/12/2019
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	2938	28954	2440
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	259945	123086	158544
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		70	238	0
მარაგები	9	532685	455126	433486
მზა პროდუქცია		532526	455126	433486
სხვა		159	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		50828	86892	67272
სხვა არამატერიალური აქტივები	11	5797	6821	8025
ძირითადი საშუალებები	10	165528	143068	160799
სულ აქტივები	-	1017791	844185	830566
-	-	-	-	-
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	13	749654	662133	549438
გამომუშავებული შემოსავალი		277	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		54916	84452	100000
მიღებული გრანტები		0	2743	278
სხვა ვალდებულებები		9794	32839	0
სულ ვალდებულებები		814641	782167	649716
-	-	-	-	-
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	15	2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		201150	60018	178850
სულ საკუთარი კაპიტალი		203150	62018	180850
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1017791	844185	830566
სულ მოკლევადიანი აქტივები		846468	844185	830566
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		814643	782167	649716

დირექტორი: დავით დავითაძე
ხელმოწერა:

5-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

პონტოლაკი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟაფშაველას გამზ., №45.

მისი ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5 პროცენტი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო

ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2021	2020
საქონლის რეალიზაცია	2434530	1913502
მომსახურების გაწევა	21945	17670
გაციდული საქონელის დაბრუნება და ფასდათმობა	(3218)	(93)
	2,453,257	1,931,079

5. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

სხვა დანაკარგი/შემოსულობა მოიცავს 2021 წელში მიღებულ ზარალს კურსთა შორის სხვაობიდან 5286 ლარს.

6. ფინანსური დანახარჯები

	2021	2020	2019
ბანკის სესხის პროცენტი	(9859)	(8496)	(12,078)
სხვა არასავალუტო ხარჯი	(4344)	(133016)	(24,060)
	(14,203)	(141,512)	(36,138)

7. საბიუჯეტო გადასახადები

	2021	2020	2019
მოგების გადასახადი დივიდენდზე	(40,324)	(32,840)	(37,386)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021	2020	2019
--	------	------	------

სავაჭრო დებიტორები	259945	123,086	158,544
წინასწარი გადახდები	70	238	0
	260,015	123,309	158,544

9. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2021	2020	2019
საქონელი	532526	455,020	433,428
სარეკლამო საქონელი	159	105	59
	532,685	455,125	433,486

10. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა და შენობა - ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და მოწყობილობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
1 იანვარი 2021 წ.	150073	125621	14729	7588	14151	3497	315659
შემოსვლა	0	11191	808	28144	0	6571	46,714
გასვლა	0	0	-29	-605	0	-2058	-2,692
31 დეკემბერი 2021 წ.	150,073	136,812	15,508	35,127	14,151	8,010	359,681

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება	მიწა და შენობა - ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და მოწყობილობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
1 იანვარი 2021 წ.	50428	101968	8661	4799	4941	1794	172591
წლიური ცვეთა	4982	6968	1288	6065	1842	415	22,168
გაუფასურება	0	0	0	0	0	0	0

31 დეკემბერი 2021 წ.	55,410	108,936	9,949	10,864	6,783	2209	194153
საბალანსო ღირებულება	94,663	27,876	5,559	24,263	7,368	5,193	165,528

11. არამატერიალური აქტივები

თვითღირებულება	
1 იანვარი 2021 წ.	26,681
შემოსვლა	0
გასვლა	0
31 დეკემბერი 2021 წ.	26,681
1 იანვარი 2021წ. დაგროვილი ცვეთა	19,860
წლიური ამორტიზაცია	1,023
31 დეკემბერი 2021წ. დაგროვილი ცვეთა	20,883
31 დეკემბერი 2021წ. საბალანსო ღირებულება	5,998

12. ბანკის სესხი

	2021	2020	2019
ბანკის სესხი	0	0	0

13. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს 749,654 ლარს
(2020 წლის 31 დეკემბრისთვის - 662,133 ლარი)

14. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს რამდენიმე სარეალიზაციო ოფისი. ამ
იჯარების საშუალო ვადა ერთი წელია და ამავე ვადაში გათვალისწინებულია ფიქსირებული
საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები,
რომლებიც,

	2021	2020
--	------	------

მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად	108,119	75,628
-----------------------------------	---------	--------

15. კაპიტალი

2021 წლისა 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 2000 ლარს.

16. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021	2020	2019
ფულადი სახსრები სალაროში	880	1,658	1,432
ფულადი სახსრები ბანკში	2057	27,296	1,007

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 20 ივლისს.

დირექტორი: დავით დავითაძე

ხელმოწერა:

